თვითდისციპლინის/ქცევის თვითმართვის უნარის განვითარების ხელშეწყობა თბილისის N52 საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებში

მონიკა იოსავა

სოფო დევიძე

მარიამ ფოცხვერაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე (შესაბამისი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის განათლების (I-VI კლასები) ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკადემიური ხელმძღვანელი: მანანა რატიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

,,წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად''.

მონიკა იოსავა, სოფო დევიძე, მარიამ ფოცხვერაშვილი

თარიღი: 20.06.2024

მადლობა

გვსურს მადლობა გადავუხადოთ სსიპ ქალაქ თბილისის ქართველ იუნკერთა სახელობის N52 საჯარო სკოლის პირველი კლასის მასწავლებელს მარიამ უჩანეიშვილს კვლევის პროცესში აქტიური ჩართულობის, მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის. ასევე პარალელური კლასის მასწავლებელს ნათია ჩუბინიძეს, მშობლებსა და მოსწავლეებს კვლევაში ჩართულობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენი ნაშრომის აკადემიურ ხელმძღვანელს, ქალბატონ მანანა რატიანს, რომელიც კვლევის პროცესში აქტიურად იყო ჩართული, მოგვაწოდა შესაბამისი თეორიული მასალა, დაგვეხმარა ინტერვენციის დაგეგმვასა და ნაშრომის სრულყოფილად შექმნაში.

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, თემაზე: „თვითდისციპლინის/ქცევის თვითმართვის უნარის განვითარების ხელშეწყობა თბილისის N52 საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებში“. პრაქტიკის კვლევის მიზანს წარმოადგენდა, მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების და თვითრეგულირებადი ქცევის პრობლემების იდენტიფიცირება, შესწავლა და ამ უნარების გაუმჯობესებისა და განვითარების ხელშეწყობა.

პირველადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით გავესაუბრეთ მასწავლებელს, რომელმაც ძირითად პრობლემად დაასახელა მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების ნაკლებობა. დიაგნოსტირების ეტაპზე აქტიურად ვაკვირდებოდით სასწავლო პროცესს, ჩავატარეთ სიღრმისეული ინტერვიუ კლასის მასწავლებელთან, ასევე გავაკეთეთ მშობლების კითხვარი, გავესაუბრეთ მოსწავლეებს, დავაკვირდით და ინტერვიუ ჩავატარეთ პარალელური კლასის მასწავლებელთან. დიაგნოსტირების შედეგად დადგინდა, რომ კლასში განსაკუთრებით აქტუალურია თვითრეგულირებადი ქცევისა და თვითმართვის უნარის პრობლემა, რაც ხშირად კონფლიქტური სიტუაციის წარმოქმნის მიზეზი ხდებოდა. აღნიშნულ პრობლემებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა გარე ფაქტორებიც: პატარა საკლასო ოთახი, ასისტენტის გარეშე დარჩენილი სსსმ მოსწავლეები. იდენტიფიცირების შემდეგ დავამუშავეთ ლიტერატურა, რომლის საშუალებითაც გავიღრმავეთ ცოდნა აღნიშნული საკითხის გარშემო. ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ შევარჩიეთ რამდენიმე ინტერვენცია. ამ ეტაპზე შევიმუშავეთ აქტივობები, რომლებიც მოითხოვდა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე წყვილებში და ჯგუფურ/გუნდურ სამუშაოებს. ძირითადი ინტერვენციები: სიტუაციური ამოცანების განხილვა, ,,ქეისებით სწავლება'', ვიდეოს ანალიზი, ,,მოთხრობის წრე'', ,,ფერადი ქილა“. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, ჩავატარეთ ხელახალი სიღრმისეული ინტერვიუები და გამოკითხვა.

ჩვენს მიერ ჩატარებული ინტერვენციები დაეხმარა მოსწავლეებს საკუთარი როლისა და ემოციების შეცნობაში, გაუმჯობესდა მათი თვითრეგულირებადი ქცევის უნარები.

ინტერვენციების მიმდინარეობის ეტაპზე აღმოიფხვრა გარე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენდა მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში აქტიურ ჩართულობაზე.

ჩვენი აზრით, კვლევა მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს მასწავლებლებს, სხვადასხვა აქტივობის გზით ხელი შეუწყონ მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას, ვინაიდან აღნიშნული პრობლემა საკმაოდ აქტუალურია მოსწავლეებში, განსაკუთრებით პირველ კლასში.

ამ ნაშრომში განვიხილავთ დეტალურად კვლევის მიგნებებს, შეზღუდვებსა და რეკომენდაციებს.

ძირითადი საკვანძო საძიებო სიტყვები: **სოციალურ-ემოციური სწავლება (SEL), თვითრეგულირებადი ქცევა, „მეორე ნაბიჯი“, პრაქტიკის კვლევა.**

Abstract

The paper addresses an action research report on the topic: "Facilitating the Development of Self-Discipline/Self-Regulation Skills in First Grade Students of Tbilisi Public School No. 52." The aim of the action research was to identify, study, and promote the improvement and development of socio-emotional skills and self-regulated behavior among students.

To gather initial information, we interviewed the teacher, who identified the lack of socio-emotional skills as the main problem among the students. During the diagnostic phase, we actively observed the teaching process, conducted in-depth interviews with the class teacher, created a parent questionnaire, interviewed the students, and conducted interviews with other first grade teachers at school. The diagnostic results indicated that the class particularly struggled with problems related to self-regulated behavior and self-management skills, which often led to conflict situations. Alongside these issues, external factors also played a significant role: a small classroom and students with special educational needs who are not assisted by a special education assistant.

Following the identification of these problems, we reviewed relevant literature to deepen our understanding of the issue. After the literature review, we selected several interventions. At this stage, we developed activities that required individual, pair, and group work. The main interventions included: situational problem discussions, "case-based learning," video analysis, "storytelling circle," and "colored jar" activities. After implementing these interventions, we conducted follow-up in-depth interviews and surveys.

The interventions we conducted helped the students become aware of their roles and emotions, improving their self-regulated behavior skills. During the intervention process, external factors affecting students' active participation in the classroom were mitigated.

We believe that this research will significantly motivate teachers to promote the development of socio-emotional skills in students through various activities, as this problem is particularly relevant among first-grade students. This paper provides a detailed discussion of the research findings, limitations, and recommendations.

Key words: Social-emotional learning, self-regulated behavior, "second step", Practice research.